შაბათი, 22 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 2

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს; [illegible] მხოლოდ დიდი წერილები და [illegible]. [illegible] ლობით პასუხისათვის საჭირო [illegible] პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ფასდება 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## ყოველ დღიური გაზეთი

## „ისარი"

## მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი: წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—7 მანეთი.

ნახევარი წლით „ „ „ „—4 მანეთი.

ერთი თვით „ „ „ „—90 კაპ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Кочуб. ул. № 14. И. С. Агладзе.



## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

22 დეკემბერს, 1907 წელს გაუდ ვოლეი წარმოდგენა. ასეთი წარმოდგენები სატახ. ქალაქებსა და საზღვარ გარედ იმართება შაბათობით განსაკუთრებულის პროგრამით და ესწრება ინტელიგენცია. ეს წარმოდგენა პირუტყვთა მფარველ საზოგადოების პირუტყვთა სააავადმყოფოს სასარგებლოდ იმართება. მონაწილეობას იღებენ ყველანი. პირველად „მგზავრობა დედამიწის გარშემო"—დიდი პანტომიმა. სხვა და სხვა ერის ცეკვა-თამაში. კავკასიურს შეასრულებს ალ. მანუჩაროვი. დაუკრავს ზურნა. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე დაწვრილებით პროგრამებში. დირექტორი აკიმ ნიკიტინი. (1—517—1)

---

ილარიონ იოსების ძე ელისოვი შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 22 დეკემბერს, დილის 10 საათზე, პეტრე-პავლეს ეკკლესიაში გადახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

მარიამ ივანეს ასულის ელისოვის

სულის მოსახსენებლად. (2—524—2)

---

## კახური არაყი

## სავაჭრო სახლის

## „ძმ. სესიევები და ამხ.-"ისა.

ეს არაყი გამოხდილია კარდენახში, იქაურ საუკეთესო ღვინისაგან. დიდი ხნის დაყენებულია და თვისებით არაფრით არ დაუვარდება სამ და ოთხ ვარსკვლავიან კონიაკს. ეს საუკეთესო არაყი დავამზადეთ კონიაკის ადგილას ამ დღესასწაულისათვის. მუშტარს ვურჩევთ შეიძინოს ეს არაყი.

ვორონცოვის ქუჩა, № 6. (5—521—2)

---

## თამბაქოს ქარხანა

საად. საზ. „მირისა" ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად ვასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

## არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—25)

---

დამზადებულ ტანისამოსის მაღაზიას

## ს. რ. დოვლათოვისას

(გოლოვინის პრ., სახ. მირიმანოვისა, სასახლის პირდაპირ)

აქვს პატივი აუწყოს პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან განზრახული აქვს მაღაზიის გადაკეთება

## დაიწყო

## დიდი იაფობა

იმ საქონლისა, რაც მაღაზიაშია—ყოველგვარ დამზადებულ ტანისამოსისა იმედი მაქვს, რომ პატივცემული მუშტარი ისარგებლებს შემთხვევით და შეიძენს იაფად უკანასკნელ ფასონის საუკეთესო ტანისამოსს.

(4—ხალ.—2) პატივისცემით ს. რ. დოვლათოვი.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა

22 დეკემბერს, რეჟისორ. ა. დ. ბელსკის იუბილეი და ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება

I „კორნევილის ზარები" კომ. ოპ. 4 მოქ. მუს. პლანკეტისა.

II „ერნანი" (მე-3 მოქმ.) მუსიკა ვერდისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნი გრინბერგი, ზასლავსკაია, ოკუნევა, ოსტროვსკაია, პობოჟევა, იაკოვლევა, მარკოვა; ბ-ნნი აკიმოვი, გრინევი, გავრილოვი, ბოჯი, კოპპოლა, სიბირიაკოვი. ფასები საბენეფისოა.

კაპელმეისტერი: ფელიპაშვილი. დასაწყისი 8 საათზე. (0—23)

---

კბილის ექიმი

ბალარჯაშვილი მათეშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 სად. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—518—4)

---

ექიმი

ი. მაჩაბელი

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ.—00)

---

ექიმი

ვ. ნ. მაზაკიანი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას. სპეციალური ექიმია კუჭის და ნაწლავებისა. მიიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჭავჭავაძისა (25—წლ.

---

ქ. თელავში

ექიმი

ნ. ვ. მრევლოვი,

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის, ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—34)

---

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლღას ქუჩა, № 25- (0—253)

---

ქ. ქუთაისში

ექიმი ჯაფარიძე

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—6.—41)

---

ქ. ქუთაისში

ექიმი ბადრიძე

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ფილტვების, ხუნაგის და ყვავილის აცრა. დილის 8—12 საათ., საღამოს 4—5 საათზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (15—კვ.—2)

---

თვალის ექიმი

ზ. მ ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—17)

---

ელექტრონის და რენტგენის

სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—12)

---

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

ე. დ. ნასარიძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

---

ექიმი

ვ. ხ. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ი. კერესელიძე

გადავიდა გეგუთის ქუჩაზე ჰ. რუხაძის სახლში, (25—ფ.—18)

---

კბილის ექიმი

ალ. ხოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12 სახლი მდივნისა. (64)

---

ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი

ნ. ა. ატენიანცი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ. (50—385—48)

---

## სახაზინო თეატრი. საოპერო დასი

სადღესასწაულო რეპერტუარი

| | | |
|---|---|---|
| 26 | დეკემბერს | დილით—«რუსლან და ლიუდმილა», გლინკასი. საღამოთი—«ევგენი ონეგინი», ჩაიკოვსკისა. |
| 27 | » | დილით — «ასკოლდის საფლავი», ვერსტოვსკისა. საღამოთი—«ფაუსტი» ვალპ. საღამოთი, გუნოსი. |
| 28 | » | კოპპოლას მონაწ. «ებრაელი ქალი», გალევისა. |
| 30 | „ | დილით—«ივანე მეფის ძე», ფეერია, მუს. ენდრეიევსკისა და «ფეია ტიკინებისა»—ბალეტი. საღამოთი—„კარმენი", ბიზესი. |
| 31 | „ | საღამ.—«ასე სთქვა მეფემ», დელიბასი. |
| 1 | იანვარს | დილით—«კნიაზ იგორი», ბოროდინისა. საღამოთი—კოპპოლას მონაწილეობით «ჰუგენოტები», მეიერბერისა. |
| 2 | » | საღამოთი—«კორნევილის ზარები», პლანკეტისა. |
| 3 | » | საღამ.—კოპპოლას მონაწ. «ტოსკა», პუჩინისა. |
| 4 | » | საღამ.—ბენეფ. ოკუნევისა «ბოგემა», პუჩინისა. |
| 6 | » | დილით—«სნეგურიჩკა», რიმსკი-კორსაკოვისა. საღამოთი—კოპპოლას მონაწ. «აფრიკელი ქალი», მეიერბერისა. |
| 7 | » | საღამ.—«ციგნის ბარონი», სტრაუსისა. |

ფასები: საღამოთი ჩვეულებრივი, დილით დაკლებული. (4—6.—2)

---

შაბათს, 22 დეკემბერს

ტფილისის საკრებულოში

ქართულ დრამატ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## დედის ერთა

კომ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

## თავვის ბრალია

ვოდ. 1 მოქ.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. (527—1)

---

## წარმოდგენა-კონცერტი

„წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ გაიმართება 1908 წ. იანვრის 22 ს. (3—1)

---

## ჭიათურაში

იყიდება ძრიელ ხელსაყრელ პირობებში „ჯარბელაში" საუკეთესო „პლატფორმა" შავი ქვით. მოწყობილია აგრეთვე „მარგანეცის" ჩამოსაყრელი „სპუსკი".

ადრესი: Тифлисъ, Барятинская № 2, Справочная контора «Трудъ» ანუ ჭიათურაში ხატიევს. (4—503—3)

---

ქუთაისში წიგნის მაღაზია

## „იმერეთ"-ში

(წინანდელი „კოლხიდა")

იყიდება

ახალი ქართული კალენდრები: ამხ. „შრომისა"—35 კ., „დროების კალენდარი"—35 კ., ამხ. „სორაპნისა"—20 კ., კ. თავართქილაძისა—40 კ. (ორნაირია) და რუსული კალენდრები. აქვე იყიდება ყოველნაირი ქართული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი და რუსული ახალი გამოცემა. მაღაზიაშია უმთავრესი საწყობი ახლად გამოცემულ მელიტონ კელენჯერიძის სახელმძღვანელოების: „ქრესტომატია"—85 კ., „თეორია სიტყვიერებისა", „ქართველი მწერლები"—ივ. გომელაურისა—70 კ., „ჩვენი მწერლები"—ს. გორგაძისა—50 კ. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება"—50 კ., ახლად გამოცემული მისი დიდი სურათი—40 კ. და სხ. იმერეთში მსურველებს შეუძლიათ დაიკვეთონ ხსენებულ მაღაზიიდან. (5—3)

---

## ტფილისი, 22 დეკემბერი.

ამ დღეებში კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა დეპუტაცია და დამშეულთათვის დახმარება სთხოვა. დეპუტაციამ ამასთანავე წარუდგინა საკმაოდ ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გაჭირვებაშია ხსენებულ რაიონის სოფლის მშრომელი ხალხი. აღწერა შეეხება განჯისა და ერევნის გუბერნიებს, ყარსის ოლქს და ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს ტფილისის გუბერნიისას; შეეხება სომეხ მცხოვრებთ და მხოლოდ გაკვრით თათრებსა და სხვა, მათ მეზობლად მცხოვრებ, ერებს. აღწერა საკმაოდ სავსეა: თითოეულ მაზრის შესახებ აღნიშნულია—რამდენი კომლია დამშეული, რამდენია საჭირო ფქვილი მათ გამოსაკვებად, რამდენია საჭირო თესლი მომავალ სამეურნეო წლისათვის, რა დაჯდება ეს ფქვილი და თესლი, სადაა საჭირო შემწეობის მიცემა და სად სესხისა, სადაა საჭირო საზოგადო მუშაობათა გამართვა და სად უნდა სხვა დროისთვის გადაიდოს გადასახადთა აკრეფა. სულ, დეპუტაციის აზრით, აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერ-კავკასიის დამშეულთა დასახმარებლად საჭიროა **3.600.000** მანეთი... როგორც ხედავთ, დეპუტაცია ცარიელის ხელითა და ფრაზებით არ მისულა ნამესტნიკთან, არამედ შეიარაღებული ცნობებით, ციფრებით, მოსაზრებით, რომელნიც ნათლად ჰყოფენ დახმარების საჭიროებასაც და თან კიდევ აღნიშნავენ—სად როგორის სახით უფრო საჭიროა დახმარების აღმოჩენა.

აღსანიშნავი აქ ისაა, რომ ყოველივე ეს აღსრულებულია კერძო ინიციატივით: სომეხთა ინტელიგენციის რამდენსამე წარმომადგენელს თავს უდვია საქმის გამოკვლევა, საჭირო ცნობების შეგროვება, მათი დამუშავება, დეპუტაციის შედგენა და სხვა. მათ არ შეშინებიათ არც საქმის მეტისმეტ სიძნელისა, არც „მოსალოდნელ დევნისა", არც იმისა, რომ „სულ ერთია, არაფერი გამოვა"-ო, და შეუსრულებიათ ის, რასაც შიდა რუსეთში ჩვეულებრივად ერობა, ე. ი., მთელი საზოგადოებრივი დაწესე-

ბულება, ასრულებს. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ გარედან მშველელი არ არის, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ საქმეს არც ითავებს და არც შეუძლია აასრულოს სიმედოთა და ჯეროვანად; ხოლო გარემოება ისე ეწყობა, რომ, თუ ხმა ამოიღე და ამასთანავე ხმა დასაბუთებული, შესაძლებელია სახელმწიფო დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს: სათათბიროამ უკვე 17 მილიონამდე გადადვა ამ საქმისთვის და, როგორც გამოირკვა, შემდეგში კიდევ გადასდებს. ვქვს გარეშეა, დეპუტაციის მუშაობა უნაყოფოდ არ ჩაივლის და მთავრობა, შემწეობის განაწილების დროს, ანგარიშს გაუწევს შეგროვილ ცნობებსა და მასალას, და იმ თანხიდან, რომელიც საკუთრივ კავკასიისთვის გადიდება, უპირველესად დახმარება აღნიშნულ რაიონის მცხოვრებთ აღმოეჩინება..

აი, რა შეუძლია კერძო ინიციატივას! სწორედ ქებისა და პატივისცემის ღირსია მათი თავგამოდებული შრომა, გაჭირვებულ მოძმეთათვის დახმარების აღმოსაჩენად გაწეული... გული გიკვდება, როცა გახსენდება და ამ შრომას უდარებ ქართველ ინტელიგენციის გულგრილობას. ორ წელიწადზე მეტია აგერ გვესმის გულსაკლავი კვნესა დამშეულ ქართველ ხალხისა; დღე არ გაივლის ისე, რომ ჩვენი ქვეყნის რომელსამე კუთხიდან არ მოგვაწოდონ ხმა—გვიშველეთ, შიმშილით ვიხოცებითო; მაგრამ არავინ დანამდვილებით არ ვიცით, სად და როგორი გაჭირვებაა, სადაა საჭირო დაუყონებლივ დახმარების აღმოჩენა. მერე, ჩვენსავით ნეტავი ვინმეს ეკეროს პირზე ხალხის ინტერესების დაცვის საჭიროება?! სასაცილოდ არ გვყოფნის სომხის ინტელიგენციის ბურჟუობა და „ჩამორჩენა“ დემოკრატიზმის საქმეში; ხოლო როცა ხალხს რეალური და საშინელი გაჭირვება მოადგება კარს, თითსაც არ გავანძრევთ იმ მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად, რომელიც ჩვენს „საამაყო მშრომელ ხალხს“ დააწვება კისერზე!.. წელიწადზე მეტია, რაც ჩვენმა გაზეთმა აღნიშნა დაზარალებულ და დამშეულ ხალხის მდგომარეობის აღწერის საჭიროება; მიათითა კერძო ინიციატივის საჭიროებაზე, მიჰმართა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასაც; მაგრამ, ამაოდ: არავინ ყურიდან ბამბა არ ამოიღო, მიუხედავად იმისა, რომ თანდათან ხალხის კვნესა უფრო ხმა-მაღალი ხდებოდა, და მიუხედავად იმისა, რომ „ვისიც ჯერ არს“, ის დაჟინებით იმეორებდა— არსად საქართველოში შიმშილობა არ არისო.

დღესაც იმიტომ აღვნიშნეთ სომხთა დეპუტაციის ამბავი, რომ კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა ჩვენის ხალხის გაჭირვებაში ყოფნა და რამენაირად დახმარების აღმოჩენის საჭიროება. არა გვაქვს იმედი კერძო თაოსნობისა, მაგრამ, იქნება, იმათ მაინც გამოიღვიძონ, ვისაც პირდაპირი მოვალეობაა ასეთ გარემოებებში ხელის განძრევა. ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი, საქველ-მოქმედო და, უმთავრესად, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება რათ არ იღებენ ხმას, რათ არ წარუდგენენ ვისაც ჯერ არს ცნობებს, რომ მარტო აღმოსავლეთ და სამხრეთი ამიერ-კავკასია-კი არ არის გაჭირვებაში, არამედ დანარჩენი რაიონებიც დიდ კრიზისს განიცდიან?! ყურს მოგვესმა, რომ ქ. ს.-ს. საზოგადოების ორიოდე წევრს კიდეც მოსვლია ეს აზრი, როცა სომხთა დეპუტაციის ამბავი გაუგია, მაგრამ ვითომ ვიღაც დაბრკოლება შეხვედრიათ და ჯერ ხანად გაჩუმებულან. არა გვჯერა და ვფიქრობთ, რომ ის ორიოდე წევრი საჯაროდ გამოიტანენ ამ საქმეს, გაგვაგებინებენ ყველას, რაშია საქმე, და ამ გზით მაინც აიძულებენ მიძინებულ „საზოგადოებას“ საჭირბოროტო საკითხს ხელი მოჰკიდოს.

## სახელმწიფო სათათბირო და საბჭო

**მთავრობის კანონ პროექტები**. შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო სათათბიროში შემდეგი კანონ-პროექტი შეუტანია: 1) პოდოლის გუბერნიის ქალაქ ქმერინკაში პოლიციის გაძლიერების შესახებ; 2) ორიოლსა, ბრიანსკსა და ელეცში პოლიციის შტატის შეცვლის შესახებ. ამას გარდა კანონ-პროექტები შეუტანიათ სახელმწიფო სათათბიროში შემდეგს სამინისტროებს: 1) სახალხო განათლების სამინისტროს—იაროსლავში სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსების შესახებ; 2) ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, 3) იუსტიციის სამინისტროს—სენატის დეპარტამენტთა საქმის წარმოებაში ზოგიერთ ცვლილებების შეტანის შესახებ; 4) გარეშე საქმეთა სამინისტროს—ტოკიოში არსებულ რუსეთის საიმპერატორო მისიის სადგომის გადაკეთების შესახებ.

**მემარჯვენეთა კანონ-პროექტი**. სახელმწიფო სათათბიროს 177 მემარჯვენე დეპუტატს შეუტანია კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ ტერორისტულ აქტებისაგან დაზარალებულ პირთათვის ფული გადაიდოს. ეს კანონ-პროექტი ათის მუხლისაგან შესდგება დახმარება, კანონ-პროექტის სიტყვით, ორნაირი შეიძლება იყოს: ერთ-დროული და მუდმივი; დახმარება უნდა მიეცეს ყველას, ვინც კი ტერორისტულ აქტის მიზეზით დაზარალდა.

**მაჰმადიანთა ფრაქციის განცხადება**. იმ კომისიის თავ-მჯდომარედ, რომელსაც ყველა სარწმუნოებათა საკითხების გამორკვევა ევალება, ევლოგი ამოირჩიეს. მაჰმადიანთა ფრაქციის განუცხადებია, მართლ-მადიდებელ ეკლესიას პატივსა ვცემთ, პატივსა ვცემთ ეპისკოპოს ევლოგისაც, მაგრამ შეუძლებლად კი მიგვაჩნია, რომ ამ კომისიის თავმჯდომარედ ევლოგი იყოსო. კომისიის თავმჯდომარედ ისეთი კაცი უნდა იყოს, რომელიც საეკლესიო საკითხების გარეშე იდგესო.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **გაფიცვა ბაქოში**. ბაქოში ნავთის ყველა ქარხნებში მუშები გაფიცულან.

✦ **განსაკუთრებული წესები ბათუმში**. სენატს ბრძანება მიუღია, ბათუმში გაძლიერებულ დაცვის წესები 1908 წლის 21 ივნისამდის უნდა გაგრძელდეს.

✦ **ქ. წ. საზოგადოების დადგენილება**. 20 დეკემბერს საღამოთი მოხდა ქ. შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის სხდომა. გამგეობა, სხვათა შორის, შეეხო საზოგადოების 16 დეკემბრის კრებას და დაადგინა, რაც შეიძლება მალე დანიშნოს აღნიშნულ კრების გაგრძელება და ეხლავე უეჭდეს კრებისათვის საჭირო ბინის მოძებნას. ამავე სხდომაზედ გამგეობამ მოისმინა ძ. ზუბალაშვილების განცხადება სტიპენდიანტების დანიშვნის შესახებ და დაადგინა, გამგეობის ორ წევრს მიენდოს შემუშავება წესდების პროექტისა ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიების შესახებ.

✦ **დაჭრა**. 20 დეკემბერს ალავერდის ქუჩაზე სიღნაღის მაზრის მცხოვრებ ნესტორ ჯელინიძეს ხოჯაევის ბაღში რამდენჯერმე ვიღაცამ რევოლვერი ესროლა. ჯელინიძე დაიჭრა ორგან. დაიჭრა აგრეთვე შემთხვევით გამვლელი ვანო ლევჩენკო. დაჭრილები მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **სხდომა არ შესდგა**. 20 დეკემბრისათვის დანიშნული იყო სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. სხდომა საღამოს 8 საათზე უნდა დაწყებულიყო და რადგან რვა ნახევარი საათი შესრულდა და საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა, მოსული ხმოსნები დემონსტრატიულად წავიდნენ.

✦ **გაზეთი „მიწა“**. წელს ზაფხულში შეჩერებული ყოველ-კვირეული გაზეთი „მიწა“ გამოვა 1908 წლის პირველ იანვრიდან.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა გუშინ უბრძანა ბოქაულებს, დაავალონ პოლიციის მოხელეებს, ეტლების მოახლოვების გამო, უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ ქალაქში წესიერებისა, უშიშროებისა და მშვიდობიანობის დასაცველად. ამასთან მოხელეებს ევალებათ ბირჟაზე დახუნდ ტანისამოსიანი მეეტლეები არ გამოუშვან, თავისუფალი ადგილის ნიხრზე მეტი მეეტლეებმა მგზავრს არ აიღონ და აგრეთვე მეეტლეებმა მგზავრებს უზრდელად არ მოექცნენ.

✦ როგორც აღვნიშნეთ, წ. კ. საზოგადოების კავკავის სკოლაში გაიხსნა მასწავლებლად ქალის ადგილი. 8 კაცს გამოუცხადებია სურვილი ამ ადგილის მიღებისა. გამგეობამ 20 დეკემბრის სხდომაზე განიხილა ეს თხოვნები და დაადგინა, 8 იანვარს საკანდიდატო გაკვეთილებზე მიიწვიოს მთხოვნელნი გამოსაცდელად.

✦ მივიღეთ ორი ახალი ქართული წიგნაკი, გამოცემა ამხანაგობის „ფედერაციისა“: 1. „ეროვნული საკითხი და ავსტრიის სოციალ-დემოკრატია“, შპრინგერ-სტრაფერისა, ფასი 5 კაპეიკი; 2. „მჭედლები და მეფეები“, სიდამონ ხუნდაძისა, 5 კაპეიკი. ორივე წიგნაკი ქუთაისშია დაბეჭდილი.

✦ 20 დეკემბერს ტფ. საკრედიტო საზოგადოების სახლში შესულა გბილის ექიმი კლებანსკის ქალი (22 წ.) და სტრიხნინით თავი მოუწამლავს. ქალს წარათ დაუტოვებია—ჩემს სიკვდილში ნურავის ბრალს ნუ დასდებთო.

✦ ვორონცოვის ქუჩაზე, 20 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე [illegible] 18 წლის ყმაწვილს დავით კაპანაძეს, რომელსაც ერთი ფეხი მოსტეხა. დაშავებული ბავშვი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 20 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, რაკეტის ქუჩაზედ ალექსანდრე მელანიძიმ კარბოლის სიმჟავე დალია და მალე გადაიცვალა.

✦ 20 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, თამამშევის ქარვასლაში მოვაჭრეს სიმონ ფარეშოვს დაუკეტია მაღაზია და წასულა სახლში. პოლიციის ქუჩაზე, თავის სახლის მახლობლად ფარეშოვს სამი კაცი დახვედრია, „ხელები ვერხა“ დაუყვირია და რევოლვერი მოუღერებია. ფარეშოვს ერთისთვის ჯოხი დაურტყამს. ამის შემდეგ უცნობნი გაქცეულან.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ ქუთ. გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის გამგედ დაინიშნა საგლეხო საკრებულოს წევრი ზისერმანი.

✦ გუბერნატორს ქალაქის თავისა და სხვა მოქალაქეებთან თათბირი ჰქონდა ცარცეკ-გლუშკოზე. სხვათა შორის, გუბერნატორს უთქვამს, ჩემის ცნობებით, ექსპროპრიაციების ხამდენი უმეტესს შემთხვევაში საშუალო სასწავლებლის მოსწავლენი არიანო, და ქალაქის წარმომადგენელთათვის ურჩევია, რაიმე ზომები მიიღონ ასეთ არა სასურველ საქმის წინააღმდეგ, თორემ მე იძულებული ვიქნები სასტიკი ზომები მივიღოო. ქალაქის თავს 18 დეკემბერს თათბირი ჰქონდა საშუალო სასწავლებლების დირექტორებთან, მაგრამ ამ ბაასის დროს გვრიგიერი პრაქტიკული გზა ვერ გამოუნახავთ.

✦ რეალურ სასწავლებლების უფროს კლასებში 18 დეკემბერს სწავლა განახლდა. ამავე დღეს ააფეთქეს პეტარდა, რომელმაც ურ ზაური გამოიწვია მოსწავლეთა შორის.

✦ **18** დეკემბერს გაჭარ ბადანხივაძის სახლში შევიდა 4 შეიარაღებული კაცი და მოითხოვა ის ფული, რომელიც იმ დღეს მიიღო. როცა უარი მიუღიათ, ავაზაკებს ჯერ თვით ბადანხივაძისათვის უსროლიათ რევოლვერი თავში და მერე სახლის ჩხრეკას შესდგომიან: წაუღიათ ფულად 70 მან. და რაც კი უნახავთ ვერცხლისა და ოქროს ნივთები. ასე გასინჯეთ, ქალებისათვის თითებიდან ბეჭდები დაუძვრიათ.

✦ ქალაქის გამგეობამ უკვე დაამთავრა

## ფელეტონი

### ილია ჭავჭავაძე, როგორც მგოსანი

### IV

**წოდებრივი ელემენტი ილიას ნაწერებში და გლეხთა ტიპები.**

(შემდეგი*)

წინა წერილში ვცდილობდით გამოგვერკვია ის პოზიცია, რომელიც ეჭირა მგოსანს ბატონ-ყმობის დროის გლეხთა და მებატონეთ შორის ატეხილს დავაში. ჩვენ ვნახეთ, რომ უმთავრესს თავის ყურადღებას ილია აქცევდა არა იმისთანა გლეხთ, რომელნიც ემორჩილებოდნენ ბატონ-ყმურ წესწყობილებას, არამედ იმისთანათ, ვინც ებრძოდა მას. ჩვენ ისიც ვნახევით, რომ მგოსანი თვალ-ყურს ადევნებდა ამ მებრძოლ ელემენტის განვითარებას, რომ გაბრიელი და ზაქრო მომავალი კაკოები არიან და კაკოს კი გამოუვლია თავის სიყმაწვილეში გაბრიელის და ზაქროს დღენი. ჩვენ ისიც ვიცით, რომ გლეხთა და მებატონეთა შორის ბრძოლა არ შემწყდარა ბატონ-ყმობის გადავარდნით, ისე, როგორც ამ მოვლენით არ მოსპობილა სრულიად ბატონ-ყმურ წეს-წყობილების ნაშთი... რასაკვირველია, ეს ბრძოლა ეხლა სხვანაირია, რადგან ეხლა კანონის მხრით გლეხს თითქოს მეტი შეძლება აქვს, ვიდრე წინად ჰქონდა, თავის ვინაობის დასაცველად, მაგრამ, როგორც გარემოებამ და ისტორიულმა საქმის მსვლელობამ აღმოაჩინა, უფლებრივი ამაღლება გლეხთა იმ დროს, როდესაც ეკონომიურად და სხვა მხრივ იგი ისევ დამონებული იყო, უფრო აძნელებდა ბრძოლას გლეხთათვის იმიტომ, რომ ეს ბრძოლა დგებოდა ეგრედ წოდებულ „ლეგალურს“ გზაზედ, ესე იგი კანონზედ... და ეს კანონი, შექმნილი ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელთა მიერ თავის ინტერესების დასაცველად, რასაკვირველია, უფრო აძნელებდა ბრძოლის პირობებს. ესეც რომ არ ყოფილიყო, ალმოჩნდა, რომ გათანასწორება გლეხთა და მებატონეთა არც ისე ადვილი საქმე ყოფილა, როგორც ეგონათ ამის მოტრფიალეთ, რომ დღესაც არ მიახლოვებია ცხოვრება არა თუ ამის დასასრულს, ამის დასაწყისსაც-კი... და რაღა საკვირველია, თუ გლეხობა და ნაბატონართა წოდება ისევ შეურიგებელნი, უკედ ვთქვათ, მოურიგებელნი არიან, რომ ისევ არსებობს ბრძოლა მათ შორის, რომ ამ ბრძოლამ უკანასკნელ ჟამს იჩინა თავი ახლილად.

ილიას ნაწერებშიაც, რასაკვირველია, მოიპოვება ამისი კვალი. მართლაც, წერილმან პირველ რომ თავი დავანებოთ, იმის ნაწერებში დასურათებულია გლახა ჰქრიაშვილი, ოთარაანთ ქვრივი, მისი შვილი გიორგი და მეწისქვილე სოსია. აღსანიშნავია, რომ ბატონ-ყმობის შემდეგ დროის გლეხნიც, ილიას დახასიათებით, შეიძლება გაიყვნენ ორ ტიპად: ერთი, როგორც მეწისქვილე სოსია და გლახა ჰქრიაშვილი, მოწამენი არიან მათი აუტანელის ხვედრისა, რომელსაც ისინი დაემორჩილნენ, და რომელმაც სრულიად თითქმის აღხოცა მათში ცოცხალ ადამიანის კვალი; მეორე ტიპმა, (გიორგი და თვით ოთარაანთ ქვრივი) იბრძვის საუკეთესო ცხოვრებისათვის, რომლისათვისაც ცხოვრების მიერ მიზომილი მოქმედების ასპარეზი ვიწროა და სულის შემხუთველი. რომ დავუკვირდეთ, როგორის სავსებით ხატავს ილია ან ერთს ან მეორე ტიპს, ვნახავთ, რომ პირველი ტიპი ისე, როგორადაც ტიპი ბატონ-ყმობის მორჩილ ყმათა, ილიას ძალიან მოკლედ, თუმცა მკაფიოდ აქვს დასახული, მაშინ როდესაც მეორე ტიპს—მებრძოლ და წინსვლისაკენ მიმსწრაფველ გლეხებს—იგი უმთავრესს ადგილს უთმობს თავის მოთხრობებში. მაშასადამე, აქაც ილიას აინტერესებდა არა ჩვეულებრივი მოვლენა—გონებრივი და ზნეობრივი, ქონებრივი მიჩლუნგება გლეხთა, ეკონომიურ წესწყობილებისა გამო, არამედ ის, თუ რა მოიძებნება ამ ელემენტებში ისეთი, რასაც შეეძლოს დაბადება კარგის მომავლისა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქაც დასურათხატებულია უფრო კარგათ პირველი ტიპი, როგორც ცხოველი სურათი ჯერ ისევ ცოცხალის წესწყობილებისა, მაშინ, როდესაც ოთარაანთ ქვრივი და, ნამეტნავად, იმისი შვილი გიორგი დახატულნი არიან, თუმცა გრძლად, მაგრამ ისე არა მკაფიოდ, როგორც გლახა ჰქრიაშვილი და მეწისქვილე სოსია.

მართლადაც, გლახა ჰქრიაშვილი უკვდავი და სუმადამო სურათია იმისი, თუ რა გამოყრუებამდის შეუძლიან მიიყვანოს ადამიანი იმ პირობებმა, რომელშიაც იმყოფებოდნენ თვით გლახა ჰქრიაშვილი და სხვა გლეხები. სოსია სულ სამჯერ გამოჩნდება ცოტას ხნით. მოთხრობაში, თითქოს იმიტომ, რომ კაცს აჩვენოს ის, თუ რაინაირად უკარგავს ცხოვრება და წოდებრივი განკერძოვება გლეხს ყოველსავე სურვილს და მისწრაფებას, როგორ ეშინის მას და არ სწამს კიდეც უკეთესის ნატვრა... ეს გრძნობა იქამდისაა გადვივებული სოსიაში, რომ იგი თვით თანასწორ გლეხთა შორისაც კი აღარ ელის სანუგეშოს. ასე ერთვის და აძლიერებს წოდებრივ განკერძოებას და მარტოობას სულიერი ინდივიდუალური განკერძოება და მარტოობა. ამიტომაც არის ადვილი დასახვა ამ ტიპთა, რომ თვით ცხოვრება მკაფიოდ აყალიბებს მათ, რომ ხშირად საკმაოა მარტოოდენ ერთი ლაპარაკი (როგორც გლახა ჰქრიაშვილისა) ანუ რამდენჯერმე თქვენ წინ გამოსვლა ამნაირ ადამიანთა (როგორც სოსია), რომ თვალ-წინ წარმოგიდგეთ ეს ტიპი მთელის თავის სიმკაცრითა და სინამდვილით.

ოთარაანთ ქვრივის დახასიათება კი ძალიან ძნელია ისე, როგორადაც რთულია თვით ოთარაანთ ქვრივის მსოფლიო შეხედულობა. მაგრამ თუ ოთარაანთ ქვრივი უკვე დაბერებული და დამჯდარი ადამიანია, რომელსაც აზრები და მიმართულება უკვე აღარ გამოეცვლება, იმისი შვილი გიორგი, სამაგიეროდ, ჯერ ისევ „დუღდუღარი მაჭარია“, რომელიც ფუფუებს კიდევ. ამიტომაცაა, რომ გიორგი მოთხრობაში გამოდის უფრო უფერული, ვიდრე თვით ოთარაანთ ქვრივი. საერთო ამ ორ ტიპს ბევრი რამა აქვს. ჯერ ერთი ის, რომ მგოსანი ორთავეს აიდეალებს, ესე იგი—მოსწონს ამ ორივე პირში რამდენიმე თვისება, და ისე მოსწონს, რომ შესაძლებლად სცნობს მიაწეროს მათ მსოფლიო თვისებანი და ამით ვიწრო წოდებრივ მოვლენიდან კაცმა შექმნას საზოგადო კაცობრიული ტიპი. თვით ილია, გიორგის პირით, ამბობს, რომ არა ინტელიგენციაში, არა ბრწყინვალე წოდებაში, რომელთაც ეტყობა ნახევარ-კაცობა და სიღუნე ადამიანის ბუნებისა, მოიპოვება ნამდვილი ადამიანი, ყოველის მხრივ ჰარმონიულად შემკული, არამედ გლეხთა შორის; რომ იქ შეიძლება კაცმა ჰპოვოს ადამიანის ბუნების მთლიანობა, რადგან მათ აქვთ სურვილი, მისწრაფება და ამასთანავე ძალ-ღონეც ამისდა მისაღწევად... რომ აქ იბრძვის ადამიანი თავის ცხოვრების საუკეთესო პირობებისათვის. აქ იჩენს ადამიანი მთელს თავის ძალ-ღონეს—ცხოვრების წინაშე საბრძოლველად, მაშინ როდესაც ცოტაოდენი დაბრკოლება კერძო ხასიათისა საკმაოა ინტელიგენტისათვის, რათა მისი მაჯა მოდუნდეს და ბუნებაც შესუსტდეს!..

მაშასადამე, მგოსანს აქ საქმე ისე აქვს წარმოდგენილი, რომ გლეხთა სოციალურ პირობებში მოიპოვება უკიდურესობა და უმეტესი სიმკაცრე ადამიანის ცხოვრების სინამდვილესა და მისწრაფებათა შორის. აქ ერთის მხრით, წოდებრივი განკერძოება გლეხთა, მთელი უფლებრივი ქონებრივი და თვით ეგრედ წოდებული დღევანდელი საზოგადოებრივ-ზნეობრივი წესწყობილება, რომელიც თითქმის ყველა გლეხს ერთს კალაპოტში ათავსებს, ერთნაირად უხშობს გზას კარგის მომავლისაკენ; და, მეორეს მხრით, სურვილი თვით გლეხთა ამ მომავლის მოახლოვებისა, ბრძოლა მის მოსაპოებლად. რამდენადაც ეს ორი უკიდურესობა ერთმანეთს უფრო დაშორებულია, რამდენადაც სიმკაცრე გლეხთა სოციალურ ბორკილისა ძლიერია და მძიმე საგრძნობელი მათთვის, იმდენად უფრო სხივოსანათ ისახება მათში შორეული მომავალი, იმდენად უფრო იდეალურად აქვთ მათ ეს წარმოდგენილი. სიმკაცრე წინააღმდეგობის სინამდვილეს და მომავალ იდეალის შორის სიმწვავე დღევანდელ პირობებისა გლეხთა განვითარებისა იმდენად ძლიერია რომ უმეტესობას გლეხებისას დაჰკარგოდა და დაჰკარგვია კიდეც სურვილი და რწმენა კარგის მომავლისა; გლეხთა უმრავლესობას შეადგენდა და თითქმის დღესაც შეადგენს ტიპი მორჩილ ადამიანისა, რომელსაც სწამს, რომ საწყალი კაცისათვის ღმერთი არც გაჩენილა და იქნება არც კი გაჩნდეს ცხოვრებას დაუსვამს მათთვის საშინელი დაღი, მოუკლავს წინსვლისაკენ მისწრაფების უნარი და გადაუქცევია იგი ან იმისთანა წყლის მნაყაკ ადამიანად, როგორიც გლახა ჰქრიაშვილია, ან და ყოველის წინაშე მორჩილ პირად, როგორც მეწისქვილე სოსიაა... მხოლოდ უმცირესობა ებრძვის ცხოვრებას, არ ეპუება მას; მხოლოდ უმცირესობას აქვს მისწრაფებანი კარგის მომავლისაკენ, თავის ბუნების გაადამიანებისაკენ, მაგრამ რამდენადაც მკაცრია პირობები გლეხთა განვითარებისა, იმდენად მკაცრია თვით ეს ბრძოლა, იმდენად უფრო სასტიკად თავდება გლეხთათვის ეს მაღლა ფრენა, როდესაც ცხოვრებით ისინი შებოჭვილნი არიან; ერთს კალაპოტში ჩასხმულნი ისინი გრძნობენ, როგორ სწვავს და ჰბუგავს მათ ცხოვრების სინამდვილე, როცა ისინი მოისურვებენ ამ კალაპოტიდან გამოსვლას.

ასე დაემართა გიორგისაც, რომელიც ოთარაანთ ქვრივზე უფრო ახალგაზრდა და უფრო წინდაუხედავი იყო. მან ვერ გაზომა თავისი ნახტომი და გახდა, როგორც მისნი დამტირავნი იძახნენ, წერა თვისავე სურვილის, კესის სიყვარულისა. ახალგაზრდობამ გიორგის დაატყო თავისი ელფერი, და ამაშია განსხვავება დედასა და შვილს შორის. დედა ჰზომავს თავის ნაბიჯს, დედას გარდაწყვეტი-

*) იხ. „ისარი“ № 270.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემოსავალი ნაანგარიშევია 257.000 მანეთი. ამდენივეა გასავალი. ქუჩების შეკეთებაზე განზრახულია 5000 მ.

◆ სასკოლო კომისიამ მსჯელობა იქონია სასწავლებელთათვის საკუთარ შენობის აგების შესახებ, მაგრამ, რადგან ამისათვის ქალაქს შეძლება არა აქვს, გადასწყვიტა დაარსოს განსაკუთრებული ფონდი იმ ფულიდან, რომელიც მოსწავლეთაგან შემოსდის სწავლისათვის.

## სამღვდელოების დეპუტატთა კრება

20 დეკემბერი

ამ დღეს კრება საარჩევნო წესს შეეხო. ზოგმა დეპუტატმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საარჩევნო წესი უვარგისია და თუ დღევანდელ პირობაშივე დარჩა, ხელს შეუწყობს სამღვდელოების დაცემასაო. ამ ლაპარაკით ისარგებლა დეკანოზმა იუნიცკიმ და რიხიანად განაცხადა: თქვენმა შარშანდელმა ოქტომბრის კრებამ, რომლის გადაწყვეტილებაც სინოდმა დაამტკიცა, საარჩევნო წესი სავალდებულო გახადა რუსის და ბერძნის მღვდლებისათვისაც. თუმცა ჩვენ არ გვინდოდა ეს წესიო. (საყურადღებოა, რომ დეკან. იუნიცკი წინად ბაქოში პატარა მეფედ ითვლებოდა, მაგრამ საარჩევნო წესის შემოღების შემდეგ იგი ბლაღოჩინობიდან გადააყენეს და მღ. ალექსანდროვსკი აირჩიეს. აბა რაში მოეწონება ეს წესი?!)

დეკ. თალაკვაძემ უპასუხა. ჩვენ არავისთვის არაფერი მოგვიხვევია თავზედ; ჩვენ, ქართველებს ერთი მიზანი გვაქვს, რომლისაც, რადაც უნდა დაგვიჯდეს, მივაღწევთ. ეს გახლავთ ავტოკეფალური მმართველობა საქართველოს ეკლესიისა, და საარჩევნო წესით კი, ამ მიზანს ვუახლოვდებით ცოტ-ცოტად. მხოლოდ ჩვენ ვთხოულობდით არა ასეთ გუდ მოგდებულ საარჩევნო წესებს, არამედ ფართოს. ეხლაც ვთხოულობთ. ეს წესები ასე უნდა იქმნას გაუმჯობესებული: ვისაც გათავებული აქვს არა ნაკლებ სასულიერო ან სამოქალაქო სასწავლებლისა და სღვთის-მეტყველო საგნებში უფრო გაფართოებულ პროგრამით ეგზამენს დაიჭერს, იმან უნდა მისცეს თხოვნა საბლაღოჩინო საბჭოს იმ მრევლისას, სადაც ადგილია დაცლილი. საბჭომ მთხოვნელთაგან უნდა აირჩიოს სამი უკეთესი კანდიდატი და წარუდგინოს მრევლს. მრევლის მიერ არჩეულს საბჭო წარუდგენს ეგზარხოს, რომელმაც უსათუოდ უნდა დაამტკიცოს იგი.

მღ. მიხაილოვსკი და დეკ. იუნიცკი არ დაეთანხმნენ თალაკვაძეს. მათის აზრით, ასე უნდა მოხდეს არჩევნები: მღვდლობის ან მედავითნობის მსურველმა უნდა წარუდგინოს თხოვნა ეგზარხოსს. თუ ეგზარხოსი მოიწონებს და სცნობს ღირსად კანდიდატს, თავის შენიშვნით გადასცემს საბლაღოჩინო საბჭოსაო. ამ აზრს მიემხრნენ ბერძნის მღვდლები და ქართველთაგან მღ. გედევანიშვილი, მშვიდლიშვილი და ბარნაბიშვილი. კენჭის ყრით მიღებულ იქმნა დეკ. თალაკვაძის აზრი (22 თეთრი და 13 შავი).

შემდეგ ლაპარაკი იყო ბლაღოჩინების დაკმაყოფილებაზედ „პროგონით“, მწერლის, ნაფრის და კანცელარიის ხარჯისათვის. ერთხმად დაადგინეს, ეს საკითხი გადასწყვიტოს ადგილობრივმა საბლაღოჩინო სამღვდელოთა კრებამ მნათეების თანადასწრებით, საბლაღოჩინო საოლქო კრებასვე მიანდეს, აღძრას შუამდგომლობა, თუ საჭიროდ დაინახავს, ერთ საბლაღოჩინო ოლქის ორად გაყოფაზედ.

ამავე დღეს შეეხნენ სასულიერო ორგანოს გამოცემის საჭიროებას. ერთი წელიწადია, რაც ასეთი ორგანო აღარ გამოდის. კრებამ აუცილებელ საჭიროებად სცნო ორგანოს გამოცემა და დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ორგანოს გამოწერა სავალდებულო იყოს ეკკლესიებისათვის. ორგანო გამოვა რუსულად და ქართულად. პასუხის მგებელ რედაქტორად დაასახელეს შემდეგი კანდიდატები: ნიჟარაძე, მიხაილოვსკი, მღ. ცინცაძე, ანტ. ნატროშვილი და მურახოვსკი. ამათგან ერთ-ერთს ეგზარხოსი წარუდგენს დასამტკიცებლად სინოდს.

შემდეგ კრებამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა მოამზადოს განსახილველი საკითხები შემდეგის სესიის კრებისათვის. კომისიაში მოჰყვნენ თოთიბაძე, თალაკვაძე, ცინცაძე, გამრეკელი და მიხაილოვსკი. მაზრებიდან ბებიაშვილი, ჯალიაშვილი, პერტაია, მშვიდლიშვილი, ბარნაბიშვილი, კარბელოვი, იგნაშოვი, კანდელაკი, სევასტიანოვი და ნათაძე.

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**ქუთაისი.** «ქართულ დრამის» არტისტებმა ქ-ნ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით განიმეორეს იუშკევიჩის პიესა «ქალაქში». როლები კვლავინდებურად იყო განაწილებული. განმეორებამ აღსრულებას ბევრი ვერაფერი შემატა; უმთავრესი ნაკლი, რომელიც პირველ წარმოდგენის დროს აღვნიშნეთ, ეხლაც განმეორდა. ბ-ნი ზარდალიშვილი ეხლა უკეთესი იყო, ვიდრე პირველ წარმოდგენაში; უკეთესობა ეტყობოდა ბ-ნ მურუსიძესაც, თუმცა პეერის სულის კვეთება სავსებით ვერ გადმოგვცა. ხალხი წარმოდგენას მეტად ცოტა დაესწრო.

«ქართულ დრამის» არტისტები მიმდინარე კვირაში მიდიან ბათუმში, სადაც გამართავენ ორ წარმოდგენას. განიმეორებენ ქუთაისში დადგმულ პიესებს «ზღვასთან» და «მზის ამოსვლამდის».

იქნება ბათუმის საზოგადოებამ უკეთესად დააფასოს ჩვენი დასი.

—

**ჭიათურა.** ჭიათურას, ამ ჩვენი ქვეყნის ციმბირსა და კატორგას, ერთად-ერთი დაწესებულება აქვს ისეთი, სადაც კაცს შეუძლიან დაღლილ-დაქანცული სული მოასვენოს, მუდმივი მიწიური ზრუნვა უკუ აგდოს, გული დაიმშვიდოს, სულით ამაღლდეს, გრძნობით განსპეტაკდეს და ახალის გრძნობით შეუდგეს მძიმე უღლის წევას. ეს ერთად-ერთი დაწესებულება გახლავთ ადგილობრივი თეატრი. ერთ წელიწადზე მეტია, რაც აქ სცენის მოყვარეთაგან შესდგა მუდმივი დრამატიული წრე, რომელმაც მიზნად დაისახა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასად წარმოდგენების მართვა და, ამ რიგად, ხალხში სინათლის და შეგნების შუქის მეტანა. თუმცა ეს წრე უმთავრესად სცენის მოყვარეთაგან შესდგება, რომელთაც გარეშე საქმეც ბლომადა აქვთ, და სხვა და სხვა გვარი დაბრკოლებაც წინ ეღობება ამ საქმეს, მაგრამ მაინც დასახულ მიზანს კეთილ სინდისიერად ასრულებენ და საერთო სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურეს. ჩვენ მაინც ურიგოდ არ მიგვაჩნია, რომ დრო გამოშვებით ჩვენი შთაბეჭდილებები და შენიშვნები გაზეთის საშუალებით გავუზიაროთ ხელმძღვანელთ, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს სარგებლობის მეტს არას მოუტანს იმათ.

თავი და თავი საქმე პიესის დედა აზრის, იმის შინაარსის სრული შეგნება და გათვალისწინებაა, იმ მდგომარეობის მართლად და უკლებლივ დახატვაა, რომელშიაც პიესების მოქმედნი პირნი იმყოფებიან და ამით მაყურებლებზე სრულის ზედ გავლენის მოხდენა, რისთვისაც საჭიროა დრო, მომზადება და კარგი ხელმძღვანელი, რაც ასე აკლიათ აქაურ უანგარო მუშაკთ. თუ ამ მხრით ავიღებთ კვირას, 16 დეკემბერს, წარმოდგენილ „არსენას“, იგი ვერ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. არ იყო დაცული სრული შინაგანი ჰარმონია. ქართლ-კახური კილო იმერლებს, რომელნიც შორაპანს არ გასცილებიან, როგორღაც არ ეხერხებათ, და აქაც ქართულად ჩაცმული მუშა იმერულ კილოზე სხაპასხუპით ლაპარაკობდა. კერძოდ თითოეულ პირის შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგი: ბ-ნ ტარუაშვილს (პეტრე მოურავი) ეტყობოდა როლის დაკვირება, შეგნება და შედარებით კარგადაც ჩაატარა იგი. სიდონიას (ქ-ნი შოთაძე), როლის უცოდინარობის გარდა, ხელს არ უწყობდა მორთულობაც; „ქართულად თავ დახურულ, შ გუს კავებით, ჩაცმულ-მორთულ და სახე შემუშებულ“ სიდონიას მაგივრად ახალ მოდაზე გამოწყობილი „პრიჩოსკიანი“ «დამოჩკა» დაგვიხატა მან. „სრულიად გათეთრებული და მველებურ ტანისამოსში გამოწყობილი დინჯი იღრამი პიესაში დარბაისელი პირია, აქ კი ჩერქესკაში კოხტად გამოწყობილი შეჭადარებული იმერელი აზნაური იყო, მაშინ როდესაც შედარებით მასთან ახალგაზდა იმის ძმისწულ გარსევანს გრძელი და თოვლივით თეთრი ულვაშები უმშვენებდა სახეს. კარგი იყო ნინო (ქ-ნი მდივანი). მხოლოდ ერთი შენიშვნა იმასაც: მოქმედებასა და მოქმედების შუა რამდენიმე თვე გადის, იმას-კი სულ ერთი და იგივე ტანისამოსი ეცვა, თითქოს ამ ხნის განმავლობაში ის არც გამოიცვლებოდა და არც დაძველდებოდა. თავსაფარიც კი სულ ერთნაირად ეხურა. კარგი იყო გარსევანიც, გრიმს რომ არ დაეუშნოებინა. იგი სამსახურში დაბერებულ პოლიციის დაბალ მოხელეს უფრო ჰგვანდა, ვიდრე „ამპარტავან“ სამხედრო წოდების პირს და მებატონეს. მეტად კარგად თამაშობდა არსენა (ბ. თალაკვაძე), გლეხი (სირაჯის წამძღოლი) ცალი თვალით ბრმა და თვალებ კღირწიანი დაგვიხატა ბ-ნმა ურუშაძემ; ეს კი პიესიდან არა ჩანს. მუშები ყანაში მოსულ გარსევანს წელზედ აკრავენ ხელმურს და არა ხმლის ტარზედ, როგორც ეს აქა ჰქმნეს. მუშაობის შემდეგ სიმღერით მიდიან, ესენი კი თავჩაქინდრულები წავიდნენ და ხაწყალი დოქიც დოზეზედ ჩამოკიდებული დარჩათ. კარგად შეეთვისებინა სირაჯის როლი ბ. ყ—შვილსა.

უფრო კარგად ჩაატარეს «მათიკოს» მესამე მოქმედება. შეუდარებელი იყო გ. ნუცუბიძე ოსმალას როლში და ტარუაშვილი—თომახაში.

კერძოდ ბ. ნუცუბიძის შესახებ უნდა გთქვათ, რომ ნიჭიც შესწევს, საქმის სიყვარულიც, სამყოფი ენერგია და დაკვირვებაც აქვს და კარგი მსახიობი გამოვა, რომ ხელმძღვანელი ჰყავდეს. ესევე ითქმის ბ-ნ თალაკვაძის შესახებაც. ჩვეულებრივ სუფლიორი მეტად ხმამაღლა გაჰკიოდა, რითაც შთაბეჭდილებას ახდენდა.

ბოლოს ერთი შენიშვნა თეატრის ადმინისტრაციასაც: თეატრის ჩასასვლელში მეტის მეტად მოლიპული გზაა, მაზედ ფეხის მოკიდება მეტად ძნელია, [illegible] არა ერთმა და ორმა [illegible] გაგორება; კარგს იზამენ, თუ [illegible] ყინულსააყრევინებენ, ან ჩააკობვინებენ, მაშინ უფრო საადვილო იქნება თიატრში მისვლა და აღარც არავინ მოიტეხს კისერს.

**ვერ მიხვდები.**

## სტიპენდიების შესახებ

**(იაკობ გოგებაშვილის წერილის გამო)**

(წერილი რედაქციის მიმართ)

(დასასრული *)

მინდა ორიოდე სიტყვა კიდევ ვსთქვა. ამ ერთი თვის წინად მოსკოვში ქართველ სტუდენტობას გაუმართავს ქართული საღამო. სხვათა შორის, მონაწილეობა მიუღია ბ-ნ ფოლცხვერაშვილს, რომელსაც შეუდგენია ქართული ხორო და, რომელსაც ბ-ნ გოგებაშვილის სიტყვით, ეჭირვება სამუსიკო სწავლის დამთავრება და ამისთვის საზოგადოების მხრივ დახმარება. კეთილი და პატიოსანი. განა მოიპოვება ჩვენში იმისთანა ქართველი, რომ ამ აზრს წინააღუდგეს და შეძლებისა დაგვარ არ დაეხმაროს ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველს? (მე პირადად არ ვიცნობ ბ-ნ ფოლცხვერაშვილს და არ ვიცი, რა მუსიკალურ ნიჭის პატრონია, ამიტომაც არ შემიძლიან ავი ან კარგი ვთქვა იმაზე), მაგრამ საქმე ამაში არ არის. მე ყურადღება მივაქციე ავტორის წერილის იმ ადგილს, სადაც ამბობს, რომ ბ-ნ ფოლცხვერაშვილს ესაჭიროება მუსიკ. განათლების დამთავრებაო და თანაც დასძენს, რომ ხოროს შედგენისა, ე. ი. ლოტბარობის ნიჭის გარდა, კომპოზიტორიც არისო. მე არ ვიცი, ჩვენი საზოგადოება როგორ უყურებს ამ დიდებულს სახელს „კომპოზიტორისას“, მაგრამ ჩემის და ყველა შეგნებულ მემუსიკის აზრით, „კომპოზიტორის“ სახელის მოხვეჭა შეუძლიან მხოლოდ მას, ვისაც ძირიან-ბუდიანად შეუსწავლია სამუსიკო თეორია, თავისუფლად სთხზავს და კიდეც შეუთხზავს სხვა და სხვა ფორმაზედ ხელოვნურად შემუშავებული მუსიკა, და არა იმას, ვისაც ჯერ კიდევ ესაჭიროება თეორიულ სწავლის მიღებაც კი. არა ერთხელ და ორჯელ ამოგვიკითხავს ქართულ გაზეთების მუსიკალურ რეცენზიებში ჩვენი, ქართველ მუსიკოსების, გვა-

*) იხ. „ისარი“ № 282.

---

ლი აქვს, რომ იგი წოდებრივს საზღვარს ვერ აუხვევს, რომ თავისი მისწრაფებანი და სურვილნი უნდა შეუფეროს ამ ცხოვრებისაგან დადებულს მიჯნას მათის მოქმედებისას და ამიტომაც აკი აღარც ებადება იმისთანა გრძნობა და აზრი, როგორც გიორგის. მაგრამ, სასაცილო იქნება, რომ ოთარაანთ ქვრივს ესმას ეს პირობები, შეიგნებდეს მათს არსებობას და ამისდა მიხედვით მოეფეროს თავისი ჰანგთა ედერა... პირიქით, იგი ერიდება ბატონის კარს, მკვახედ უპრუნებს ყველა არა შესაფერისად ხმარებულს სიტყვას და, საზოგადოდ, არ იხრის მათს წინაშე ამაყს ქედს. არ უნდა მათთან საქმის დაჭერა, ერიდება მათ, მაგრამ ამასთანავე ისიც იცის, რომ იგი ვერ შესძლებს ამ წესწყობილების დაცემას და მოსპობას, და ამიტომაც არც ებადება აზრი ამ წოდებრივ ზღუდეს გარღვევისა და იქ თავის სურვილის დაკმაყოფილებისა... გიორგის ჯერ არა აქვს შეგნება იმისა, თუ რა ძალაა წოდებრივი განკერძოვება, რომელიც იმის გრძნობას ვიწრო კალაპოტში ათავსებს და ფრთას უკვეცავს. მართალია, საქმის გარემოებიდან ბოლოს რწმუნდება, რომ „ვინ მე და ვინ ის“ (ესე იგი კესო, ვისთვისაც ის კვდება), მაგრამ ეს უფრო გრძნობაა და ისიც ბუნდოვანი და გამოურკვეველი, ვიდრე ნათელი და გარკვეული შეგნება ოთარაანთ ქვრივისა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს შემჩნეული თვისება მოთხრობის ორივე გმირისა (ცოტაოდენს განსხვავებას რომ არ მივაქციოთ ყურადღება) არის გაგრძელება იმავე ბრძოლის და მიმართულებისა, რომელიც ავტორს დასურათებული ჰქონდა გაბრიელის, ზაქროს და კაკოს შემწეობით. განსხვავება ის არის, თუ როგორ იბრძვიან წოდებრივ უპირატესობის წინააღმდეგ გლეხები. 1. ბატონ-ყმობის დროს და 2. იმის გადავარდნის შემდეგ შეეხება უფრო გარეგან მხარეს ბრძოლისას, ვიდრე იმის არსებით საგანს. იქაც და აქაც წოდებრივი წესწყობილება მათთვის სულის შემხუთავია, იქაც და აქაც გლეხობა იბრძვის ამ წოდებრივი წესწყობილების მოსასპობლად. ხოლო იქ, სადაც ბატონ-ყმობა ჯერ ისევ გადუვარდნელი იყო, ჩვენ ბრძოლას ვხედავთ ყაჩაღობის სახით, აქ კი ბრძოლა უფრო მალულად, ესე იგი უხილავად სწარმოებს, რადგან კანონმა ვითომდა დაამყარა უფლებრივი თანასწორობა... მაგრამ საჭიროა შევადაროთ მაშინდელი და ახლანდელი მებრძოლნი გლეხნი, რათა ვნახოთ, რომ უკანასკნელი უფრო ძნელ მდგომარეობაში არიან, ვიდრე პირველნი, იმიტომ, რომ მათ მადა გახსნილი აქვთ, მათ იგემეს ცხოვრების სიტკბოება და ნაშთი ბატონყმურ წესწყობილებისა შეიქმნა მათთვის უფრო აუტანელი, ვიდრე ოდესღაც თვით ბატონ-ყმობა. ასე თუ ისე, ეს ჩვენ არ ვიცით, ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ ასე აქვს დასურათხატებული ეს განსხვავება თვით ჭავჭავაძეს. აბა შევადარეთ სულის სიმშვიდე გაბრიელისა, ზაქროსი და კაკოსი, რომელთაც თუმცა კაცი შემოაკვდათ, მაგრამ მაინც თავს უფრო უკეთ ჰგრძნობენ, ვიდრე გიორგი და, ნამეტნავად, ოთარაანთ ქვრივი. გიორგის მუდამ დაღვრემილი სახე (დაღვრემილი იმიტომ, რომ ჰგრძნობს, რომ იმის სურვილს წინ უდგას ცხოვრების სინამდვილე, წოდებრივ წესწყობილებაზედ აშენებული რწმენა და შემეცნება იმის სატრფიალო საგნის კესოსი) მოწმეა უფრო დიდის ნაღველისა, უფრო ნაკლების სულის სიმშვიდისა და მეტის ტანჯვისა, ვიდრე ეს ჰქონდათ ან გაბრიელს, ან კაკოს, რომელნიც ცხოვრების ხვედრს თითქმის რომ შეურიგდნენ. ეს იმიტომა ხდება, რომ ცხოვრებამ გარეგანის მხრით თითქოს გაათანასწორა გიორგი და კესო, ნამდვილად კი ისინი ისევ გაუგებარნი და დაშორებულნი, უცხონი არიან ერთმანეთისათვის სწორედ იმიტომ, რომ ეკუთვნიან სხვა და სხვა წოდებას. ან და ოთარაანთ ქვრივის „ქვა გული“ განა მეტის მწუხარების მოწამე არაა, განა შეიძლება ამაზე მეტად სიმბოლიურად გამოიხატოს თვით სოციალური მწუხარება ადამიანისა, რომელსაც ატყვია ცხოვრების მიერ ათასჯერ დასმული დაღი და არც რა სწამს და არც რას მოელის ადამიანისაგან, რომელსაც ცხოვრების სინამდვილეზედ დაკვირვებისა გამო, დაუკარგავს სრულიად რწმენა ადამიანისაგან კეთილის საქმის მოლოდინისა... ასეთ ტიპის შექმნა შეეძლიან მარტო იმ პირობებს, რომელშიაც ადამიანის ბუნება, ერთის მხრივ, უფრო განვითარებულია და მადა გაღვიძებული და, მეორეს მხრივ, იგი ჰგრძნობს, რომ ფრთა შეკვეცილია, რომ იმის სურვილს და მისწრაფებას უდევს საზღვარი, რომელსაც ვერ ურიგდება მისი უკვე გაღვიძებული მადა და გონება. ჩვენ მეტსაც ვიტყვით: ილიამ ოთარაანთ ქვრივს მიაწერა ისეთი სულის კვეთებანი, რომელიც შეჰფერის სავსებით განვითარებულს ადამიანს. თქვენ რომ გადიკითხოთ ილიას ის ლექსები, სადაც იგი სჩივის მისს გულზედ დასმულ ცხოვრების დაღზედ, იმის გაქვავებულ გულზედ, ადვილად მიხვდებით, თუ რაოდენი გაიდეალება ოთარაანთ ქვრივში, რომ თვით მგოსანმა თავისი სულის კვეთებანი მიაწერა მას.

რით აიხსნება ეს მოვლენა? როგორ მოხდა, რომ მგოსანმა უკეთესისაკენ მისწრაფება და შემდეგ ამ მისწრაფების გრძნობა მისი, რომ ცხოვრების სინამდვილე სრულიად ეწინააღმდეგების სურვილს, რომ ცხოვრება ყოველს მის მისწრაფებას „ფუჭსა ალს“ არქმევს, მიათვისა გლეხს, ოთარაანთ ქვრივს? ნუ თუ სხვა წრეში მან ვერ ნახა შესაფერი ტიპი? რასაკვირველია, არა ამიტომ, არამედ მარტო იმიტომ, რომ ილია ეძებდა მსოფლიო ტიპს, ესე იგი იმისთანა ტიპს, რომელსაც უფრო მეტად ჰქონოდა დაკოდილი გული, ვიდრე პესიმისტად გადაქცეულს ინტელიგენტს. მართლადაც, რა შესადარებელია ის დაღი, რომელსაც ასვამს და ასვამდა ცოტაოდნად განვითარებულს, შეგნებულს და მადა გაღვიძებულს გლეხს ცხოვრების სინამდვილე, როდესაც მას უხშობდა სრულიად კარს კარგის მომავლისაკენ, იმ სულის კვეთებასთან, რომელსაც განიცდის რომელიმე ინტელიგენტი იმიტომ, რომ მას თავის კერძო სარბიელზედ მარცხი მოუვიდა. აქ მარტო მეგობართა სიმტყუნეზედ შეუძლიან მას ჩივილი. და იქ კი ულმობელ კასტიურ წესწყობილებაზედ, რომელმაც მისი გრძნობა და გონება დააშორა სხვათა გრძნობასა და გონებას, და ერთმანეთისას სხვა და სხვა წოდებას არას აგონებინებს. რასაკვირველია, სიმწვავე დაღისა, რომელსაც წოდებრივი და ქონებრივი უთანასწორება ასვამს გლეხთ, უფრო ძნელია და მძიმე საგრძნობელი, ვიდრე ინტელიგენტთა მიერ ცხოვრების ნაგემი მარცხი, შედარება არც კი შეიძლება. მაშ რად ეჩვენათ, ან რად გვეჩვენება ჩვენ დღესაც, რომ ილიამ მოგვცა ოთარაანთ ქვრივით და მისი შვილი გიორგით სანტიმენტალური ტიპები, რომელნიც არ მოიპოვებიან ცხოვრებაშიო. ეს ბევრჯელ უსაყვედურნიათ საცოცხლის დროსვე მგოსნისათვის. ჩვენ გვგონია, იმიტომ, რომ ჩვენ აქ წუხილს და საზოგადოდ ცხოვრების მიერ დასმულ დაღს ვზომავთ უფრო ინტელიგენტთა საწყაოთი, რომ ჩვენ მიგვაჩნია ჩვენი წუხილი და სევდა უფრო ძლიერად; ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ სხვა წრეში მყოფ ადამიანთ შეეძლოთ ამნაირი წუხილი, მხოლოდ იმიტომ, რომ არა გვწამს, რომ მათაც ჰქონდეთ ამის მადა გახსნილი. რასაკვირველია, შეიძლება იმაზედ ბევრი ილაპარაკოს ადამიანმა, რომ გლეხს არ ძალუძს ამნაირ მახვილად მიხვდეს თავის დამცირებას და იმ შედეგებს, რომელსაც იტანს მის სულიერ სიმშვიდეში ათასგვარი სოციალური შევიწროვებანი, მაგრამ მთელი მისი ბრძოლა უკეთესის მომავლისათვის, რის უარ-ყოფა ჩვენ არ შეგვიძლიან, განა უკეთესი საბუთი არ არის ჩვენის აზრის დასარღვევად? მართალია, იმისთანა ადამიანი, როგორიც ოთარაანთ ქვრივი და გიორგია—იშვიათი მოვლენაა; ამას თვით გლეხებიც ამბობენ, მაგრამ ისიც არ ითქმის, რომ ისინი სრულიად არ მოიპოვებოდნენ ცხოვრებაში. მაგრამ განა ეს არა—სიხშირე რომელისამე მოვლენისა მოწამეა მისი ანორმალობისა? პირიქით, იგი მაჩვენებელია მისი, თუ როგორ უნდა ებრძოდეს ადამიანის ბუნება სულის შემხუთველ წოდებრივ განკერძოებას, თუ ამ საქმისათვის უმეტესი ნაწილი გლეხობისა არ მიეჩვია დიდის ხნის წვალებას და ტანჯვას.. და ამნაირად ჩვეულებრივი მოვლენა არ გამხდარიყო იშვიათად.

მაშასადამე, მგოსანმა გლეხებში ოთარაანთ ქვრივი და გიორგი იმიტომ ამოარჩია თავის სატრფიალო ტიპებად, რომ მარტო ისინი დარჩნენ მოსურნენი წინსვლისა, თუმცა იმათ ყველაზე მეტად და საგრძნობლად ესმოდათ სიძნელე წოდებრივი ზღუდის გარღვევისა. ხოლო მან ოთარაანთ ქვრივი გადააქცია მსოფლიო ტიპად ადამიანისა, რომელიც ჰგრძნობს სიძნელეს ცხოვრებისას, მაგრამ ამასთან არ ემორჩილება თავის ბედს, იმიტომ, რომ წოდებრივი განსხვავება და წოდებრივი შევიწროება ყველა სხვა დაღის დამსმელ გარემოებებზედ უმძიმესია. და თუ ვისაც უნდა ნახოს, როგორ დაღს ასვამს სხვა და სხვა გარემოება ადამიანს და როგორ ურიგდება იგი მას, რასაკვირველია, უმჯობესია, რომ აიღოს ადამიანმა უფრო მძიმე და დიდი დაღის დამსმელი გარემოება, უფრო წოდებრივი ზღუდე, ვიდრე კერძო ინდივიდუალური გაუბედრობა, რადგან უკანასკნელის დაძლევა თუ ხშირად ადვილია, პირველისა ხომ შეუძლებელია. მართალია, ხშირად ამ დროს ადამიანი ჰკარგავს თავის სახეს, იქცევა ქვად, მაგრამ განა ეს გაქვავებული ადამიანი უკეთესი მოწამე არ არის ხელის შემშლელ და აუტანელ პირობათა, განა სოსია უფრო მკაცრად არ ამტკიცებს იმას, რომ ცხოვრება ზოგისათვის დედაა, ზოგისათვის კი დედი-ნაცვალი? აშკარაა, რომ ეს ასეა... და თუ ჩვენ ეს ასე არ გვესმის ხოლმე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი გონება სულ სხვა ჰანგზედ არის მომართული, რომ ჩვენ ისე ვართ აღზრდილნი, რომ ჩვენი პატარა წუხილი დიდად მიგვაჩნია, ხოლო სხვა წოდების დიდი წუხილი ჩვენ თვალში პატარადაც აღარა სჩანს... ილიამაც დაასკვნა, რომ თუ კაცს უნდა გაიგოს ცხოვრების უთანასწორობა, მწუხარების სიდიდე, ცხოვრების დაღის დასმის სიძნელე, ინტელიგენტთა შორის კი არა, აქ, გლეხთა შორის იპოვნის იგი ამას მასალას. აკი ახასიათებს რა მოკლედ სოსიას, მგოსანი სვამს სრულიად უფლებით მსოფლიო საკითხს ცხოვრების უთანასწორობაზედ...

რები, სადაც მოხსენებულნი ვყოფილვართ „კომპოზიტორებათ" და ჩვენც, აღფრთოვანებულთ ქება-დიდებით, მართლაც კომპოზიტორებად წარმოგვიდგენია ჩვენი თავი. შემიძლიან თამამად ვსთქვა და დავარწმუნო კიდეც ბ-ნი გოგებაშვილი და საზოგადოება, რომ, ჩემის შეხედულებით, ჯერ-ჯერობით (ბოდიშს ვიხდი იმათ წინაშე, ვისი გვარებიც აქ მინდა დავასახელო) არც ფოცხვერაშვილი, არც ამ სტრიქონების დამწერი თქვენი უმორჩილესი მონა, არც ბ-ნნი ბალანჩივაძე, არაყიშვილი და არც სხვა ქართველი მემუსიკენი კომპოზიტორები არ გახლავართ, რადგან არც ერთს ჩვენგანს ამ ასპარეზზედ თავი არაფრით არ გვისახელებია და არა გაგვიკეთებია-რა.

სამუსიკო ხელოვნებაში ყველაზედ რთული და ძნელი საგანი „კომპოზიციაა", რომელიც მემუსიკისაგან ითხოვს ბუნებრივ ნიჭს, გადამეტებულ მუშაობას და დიდს „პრაქტიკას". ჯერ-ჯერობით ეს უნარი არავის გამოგვიჩენია და როცა გამოვიჩენთ, მაშინ თამამად შეგვიძლიანთ დაგვარქვათ ღირსეულად დამსახურებული სახელი „კომპოზიტორისა".

მოვიყვან ერთ მაგალითს. სრული ოცი წელიწადია ხმა დადის, რომ ერთი ქართველი მემუსიკე ოპერასა სწერსო. ხუთი წელიწადი იქნება ამბობენ, რომ კიდეც იბეჭდებაო (თუმცა კი არც დაბეჭდილი და არ დაუბეჭდავი არსად სჩანს). ამ ოპერის მესამე მოქმედებამ ამ ხნის განმავლობაში მთელის რუსეთის ქალაქებს მოიარა და ყველგან მხოლოდ ქართულ საღამოებზედ დაიდგა. როგორც გაზეთები გვამცნობენ, ზემოხსენებულ კონცერტშიაც კი ყოფილა შესრულებული. (ალბად ამ ოპერის მესამე აქტის ოცი წლის იუბილეის ნიშნად). ამ ოპერის მუსიკალურ ღირსების განხილვაში არ შევალ, რადგანაც თავის დღეში არ მქონია შემთხვევა მისი გაგონებისა, მაგრამ ვგონებ საკმარისია ეს ფაქტი, რომ კაცს ეჭვი დაებადოს ამ ოპერის არსებობაში: ოცი წელიწადია იდგმის მარტოდ მესამე აქტი, პირველი და მეორე კი არსადა სჩანს. სხვაც ბევრი გამიგონია და წამიკითხავს, რომ ესა და ეს ქართველი მემუსიკე ამა და ამ ოპერას სწერსო, და როცა ერთს მათგანს გამოველაპარაკე, რომ ესა და ეს ოპერას როგორ დასწერს მეთქი, როცა მას მუსიკალური მომზადება სულ არა აქვს და არც ერთს სამუსიკო ინსტრუმენტზე არ უკრავს მეთქი, იმან სერიოზულად მომიგო: რას ამბობ, კაცო, ისე მშვენივრად უკრავს გიტარაზედ, რომ შენი მოწონებულიაო; მე თითონ ვნახე, როგორ უკრავდა ქართულ კილოებს გიტარაზედ და ნოტებზედ ოპერას ადგენდაო. აი, ბატონებო, ჩვენებური „კომპოზიტორები", და მათი დამფასებელნი! ვის როგორც უნდა, ისე განსაჯოს და მე კი გიტარის საშუალებით ოპერების დამწერს „კომპოზიტორს" ვერ დაუძახებ.

მაშ საჭიროა, რომ საზოგადოებამ ნდობის თვალით შეხედოს იმ სიმპატიურ დაწესებულებას, როგორიც არის ფილარმონიული საზოგადოება, რომელსაც უპირველეს საქმედ ისა აქვს დასახული, რომ შეჰკრიბოს და შეისწავლოს ქართული სახალხო სიმღერები და თუ ჯერ-ჯერობით თითონ ძალა არ შესწევს, ეცდება სხვა და სხვა ტომის მემუსიკეთა დახმარებით მათ ხელოვნურად შემუშავებას. ამ გზით საზოგადოებამ უნდა აღზარდოს ახალგაზდა ქართველი მემუსიკენი და მათის შემწეობით დაამზადოს ნელ ნელა მასალა, შეჰქმნას ქართულ მუსიკის ლიტერატურა რომანსებიდან, დუეტებიდან, ხოროებიდან და ანსამბლებიდან (ოპერების წერაზედ კი საკითხი შემდეგისათვის გადავსდოთ). მე სრულიად დარწმუნებულიცა ვარ, რომ პირველ დიდს ქართულ მუსიკალურ თხუზულებას, როგორიც ოპერა და სიმფონიაა, დასწერს ევროპიელი მემუსიკე, რადგან ევროპაში მემუსიკენი რიცხვით მეტნიც არიან ჩვენზედ და ჩვენზედაც გადამეტებულად მომზადებულნი. მასალის მომზადება კი ჩვენი ვალია. რუსეთის გამოჩენილმა, პირველმა დიდმა კომპოზიტორმა გლინკამ, რომელმაც შეჰქმნა უკვდავი ოპერა „ცხოვრება ზა ცარია", ვიდრე ამ ოპერის დაწერას განიზრახავდა და გაჰბედავდა, დასწერა 100-ზე მეტი რომანსი, აგრეთვე დუეტი და სხვა სამუსიკო თხზულება და როცა ამ დიდ „პრაქტიკიდან" მან შეიმუშავა ნამდვილი რუსული სკოლა მუსიკის თხზვაში, მაშინ დასწერა ოპერა.

იმედი მაქვს, ის მემუსიკენი, რომელთა გვარებიც ამ წერილში მაქვს დასახელებული, მომიტევებენ, თუ ორიოდე სიტყვა მათ შესახებაცა ვსთქვი. ჩემთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს, ოღონდ კი ნიჭიერი, შრომის მოყვარე და გამოსადეგი ადამიანი გამოვიდეს საზოგადოებისთვის. ეს ჩემი აზრი მე დიდი ხანია მინდოდა გამეზიარებინა საზოგადოებისათვის და ეხლა, როცა შემთხვევა მომეცა, ვსარგებლობ და ვამბობ იმას, რის თქმასაც საჭიროდ ვცნობდი.

ამასთან ვუსურვებთ ბ-ნ ფოცხვერაშვილს და იმის მაგვარებს, რომ ქართველმა საზოგადოებამ არ დასტოვოს ისინი უყურადღებოდ, აღმოუჩინონ მათ როგორც მატერიალური, ისე ზნეობრივი დახმარება, რომ დროზე დაამთავრონ სწავლა და შეასრულონ თავიანთი ვალი საზოგადოების წინაშე.

**შაქაშია ფალიაშვილი.**

---

**შენიშვნა.** ბ-ნ ფალიაშვილის გუშინ დაბეჭდილ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ავტორი (ესე იგი გოგებაშვილი) უსაყვედურებს ქართველ მეცენატთ, რომ სტიპენდიები ენიშნებათ იმათ, ვინც სრულებითაც ღირსნი არ არიან, რის გამოც უზრდიან საზოგადოებას ეგოისტებს, ურიჯოებს და ზარმაცებსაო".

ბ-ნი გოგებაშვილი თავის წერილში ამბობდა მხოლოდ ზოგიერთ სტიპენდიანტებზე და არა ყველაზე, რომელთაც ქართველი მეცენატები ზრდიან.

## რუსეთი

✦ **რექტორების კრება.** რექტორების კრებაზე, რომელიც ფონ-კაუფმანის სახლში ხდება, სხვათა შორის, ვარშავის უნივერსიტეტის საკითხსაც შეეხნენ. სახალხო განათლების მინისტრს განუცხადებია გადაწყვეტილება მინისტრთა საბჭოსი—არას გზით არავითარი ცვლილება არ შეიტანონ ვარშავის უნივერსიტეტში. ვარშავის უნივერსიტეტი მხოლოდ მაშინ გაიხსნება, როდესაც მთავრობა დარწმუნდება, რომ იქაც ისეთისავე წესით წავა სწავლა, როგორც რუსეთის დანარჩენ უნივერსიტეტებშიო. ამასთანავე ერთად, თუ თუ უნივერსიტეტი განსაზღვრულ ვადაზე არ გაიხსნა, აუცილებლად სარატოვში გადავიტანთო. კრების ზოგიერთ მონაწილეთ, მიუხედავად მინისტრის კატეგორიულ განცხადებისა, მაინც გამოუთქვამთ თავიანთი შეხედულება ამ საკითხზე და უთხოვნიათ, პოლონელ ახალ-გაზდობას ცოტა დაუთმოთ მით უფრო, რომ ვარშავის უნივერსიტეტი ყოველთვის სარგებლობდა ზოგიერთის შეღავათითაო. კამათში მინისტრის ამხანაგს გერასიმოვსაც მიუღია მონაწილეობა. გერასიმოვი იმ აზრისა ყოფილა, რომ ზოგიერთ შეღავათის მიიჭება შესაძლებელია, მხოლოდ ეს შეღავათი ისე შორს არ უნდა მიდიოდეს, რომ რუსეთის სხვა უნივერსიტეტების „ავტონომიებისაგან" ძირითადად განსხვავდებოდეს.

✦ **პოლონელების „მაცია".** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ პოლონეთის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დაჰკეტა პოლონური ორგანიზაცია „მატიცა", რომლის მიზანსაც პოლონელთა შორის განათლებისა და წერა-კითხვის გავრცელება შეადგენდა. ამ საზოგადოებას ბლომათ სკოლები და ბიბლიოთეკები ჰქონდა; დაკეტვის შემდეგ ყველა ეს სკოლები და ბიბლიოთეკები, აუარებელი შეგირდები, რომელიც საზოგადოების სკოლებში სწავლობდა, უპატრონოთ დარჩნენ. პოლონეთში დაბადებულა აზრი, რომ ზოგიერთი სკოლები და ბიბლიოთეკები გადაეცეს სხვა განმანათლებელ ორგანიზაციებს, სახელდობრ „პოლონურ კულტურის" საზოგადოებას. ამისთანა ნაყოფიერსა და ხალხისთვის სასარგებლო საშუალებას ბევრი წინააღმდეგი გაუხდა. განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან ამ აზრს კლერიკალური ელემენტები, რომელთაც სარწმუნოების მხრით სანდოთ არ მიაჩნიათ ზემოთ დასახელებული საზოგადოება. მეორენი სულ სხვა მოსაზრებით არიან წინააღმდეგნი იმისა, რომ დაკეტილ „მატიცას" სკოლები და ბიბლიოთეკები „პოლონურ კულტურის" საზოგადოებას გადაეცეს. ამათის აზრით, „მატიცა" „მავნე" მიმართულებისთვის კი არ დაკეტეს, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ძლიერი ორგანიზაცია იყო და ხალხში დღითი დღე უფრო და უფრო დიდს გავლენას პოულობდა. თუ სკოლები ამ საზოგადოებას გადაეცა, ისიც გაძლიერდება და იხეთივე ბედი ეწვევა, რანაირიც „მატიცა"-ს ეწვია.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ბვალიშვილი.**

---


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 29 დეკემბრისთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა მნაცაკანის ხიდი.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, $9^1/_2$ დან $1/_2$2 საათამდე. (3—6.—1)

## ერევნის მოედანზედ მაღაზია ს. გ. ხოხრიანცისა.

მიღებულია დიდ-ძალი სასაჩუქრო ნივთები: ალბომები ფოტოგ. სურათებისთვის, ნესესერები, მარმარილოს და სხვა სამწერლო მოწყობილებანი, მაიოლიკის ტერაკოტის ფიგურები და ვაზები. მიღებულია აგრეთვე ყოველგვარი სატუალეტო ნივთები და ფაიფურის კოხტა ნივთები. ფასები შეუვაჭრებლად. (ხოლ.—1)

---

სადეპეშო ადრესი: ტელეფონი № 69

„Граммокомпанія",—Тифлисъ.

ფაბრიკის ნიშანი:




განყოფილებანი:

ბერლინი. ჰანოვერი. ლონდონი. პარიჟი. ვენა. პეტერბურგი. მილანი. ნეაპოლი. ბრიუსელი. ამსტერდამი. მოსკოვი. ხარკოვი. თეირანი. რიგა. კეპ-ტოუნი. სტამბოლი. ბარსელონა. ქაირო. ლისაბონი. კოპენჰაგენი. სტოკჰოლმი. კალკუტა. სიდნეი.

# სააქციონერო საზოგადოება

# გრამმოფონი

## და ხმების გადამღები მაშინა.

ტფილისის განყოფილება: გოლოვინის პროსპ. № 9.

# გაფრთხილება

გაზეთებში დაიბეჭდა «მელოდიფონის» ამხანაგობის განცხადება. ამან გვაიძულა ჩვენ მის მიერ შეცდომაში შეყვანილ საზოგადოებისა და გრამოფონის მოყვარულთა და მეგობართა ყურადღება მივაქციოთ ქვემორე აღნიშნულ განმარტებას.

მელოდიფონის ამხ.-ის ფირფიტები მხოლოდ ასლია ჩვენის ფირფიტებისა. მელოდიფონის ამხანაგობა სამღერად არ იწვევს ცნობილ არტისტებს: მან გადმოიღო ხმები ჩვენი ფირფიტებიდან, უბრალო მოლაპარაკე მაშინებზე. ჩვენ მომღერალს მისი ხმის ჩასაწერად ათასობით ვაძლევთ, მელოდიფონის ამხანაგობა კი ხარჯავს მხოლოდ რამდენიმე აბაზს: ყიდულობს ჩვენს შუა-მუარეულ ფირფიტებს და იქიდან იღებს ასლს. ასეთ უკანონო სიყალბის გამო ეს ამხანაგობა ფირფიტებს შედარებით ჩვენზე იაფად ჰყიდის. ცხადია, რომ ასეთ საშუალებით გადაღებული ხმა არ შეიძლება გამოვიდეს მკაფიოდ, ბუნებრივად და სინამდვილით. მაგალითად: სურათიდან რომ ფოტოგრაფია გადავიღოთ, იგი არას დროს არ ემსგავსება პირდაპირ ორგინალიდან გადაღებულს, ასევე ხდება ხმის გადაღების დროს ფირფიტის საშუალებით. ამ რიგად, მელოდიფონის საზოგადოება სარგებლობს ხალხის უცოდინარობით და მის ექსპლოატაციას ეწევა, რაიც, სხვა რომ არა იყოს რა, საკადრისი არ არის.

ჩვენ ვამბობთ, რომ მელოდიფონის ამხანაგობის ფირფიტები ასლია ჩვენის ფირფიტებისა. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მთელი ქვეყნის საუკეთესო მომღერლებმა, გარდა ზოგიერთებისა, აღიარეს, რომ მხოლოდ ჩვენ მიერ გადაღებული ვოკალური ხმები გამოდის კარგად და ჩვენი საზოგადოების დირექციას პირობა დაუდეს, რომ ისინი არ იმღერებენ სხვა ფირმებისთვის, რომელნიც მოისურვებენ მათი სიმღერის ჩაწერას. ჩვენის ფირფიტებიდან გადაწერა და გადაღება მათის გასასყიდად დაუკითხავად ჩვენდა და მომღერალთა სასტიკად აკრძალულია. ვინც ამას ჩაიდენს, საზოგადოება იქნება იგი თუ ცალკე პიროვნება, მიცემულ იქნება სისხლის სამართალში როგორც დაემართა მელოდიფონის ამხანაგობას, თანახმად კანონისა შესახებ კონტრაფაქციისა, რაიც აღნიშნულია კანონთა კრებულის I ნაწილის, ტ. X, მუხ. 45, დამატ. მე-420 მუხ (შენიშ. 2) გჭვს გარეშეა, რომ **ენრიკო კარუზო, შალიაპინი** და სხვებიც თავიანთ პირობას არას დროს არ გადაუხვევენ.

ვერ ფერს უშველის ხმის ასეთ ნაირ გადაღებას ვერც საუკეთესო მასალა და ვერც ახალი საშუალება. მეორე ფირფიტებიდან გადმოღებული ხმა ბუნებრივი არ გამოდის და ასეთივე არაბუნებრივი იქნება შემდეგშიაც.

რაც შეეხება გრამოფონებს—**მხოლოდ ჩვენი ნაწარმოები**,—რომელსაც ნიშნად აქვს **«მწერალი ამური»**, რომლის შესახებაც სწერს მელოდიფონის ამხანაგობა, რომ დაკლებულის ფასით ვყიდითო, ეს გრამოფონები დაძველებულნი და შეკეთებულნი არიან, რომელნიც მელოდიფონის ამხ.—ამ შეისყიდა. თუ ისინი მართლა ახლები არიან, მელოდიფონის ამხ.—ს ეს აპარატები ლეგალურ საშუალებით არა აქვს ნაყიდი. ყოველ ვაჭარს, ვინც კი ჩვენი გრამოფონებით ვაჭრობს, პირობა აქვს ჩვენთან დადებული, რომ იგი მთელ რუსეთში, **კავკასიაში და იმიერ კასპიის მხარეში** ერთნაირ ფასებში გაჰყიდის საქონელს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჯარიმა მოელის. არც ერთ ვაჭარს, თუ ის ჩვენი წარმომადგენელი არ არის, არსაიდან არ შეუძლიან ჩვენი საქონლის გაყიდვა, საზღვარ გარეთიდან კი ჩვენი საქონელი მოსდით მხოლოდ ჩვენს განყოფილებებს.

ვაფრთხილებთ გამოუცდელს პატივცემულ საზოგადოებას, ერიდნენ აპარატების ყიდვას დაკლებულის ფასებით, ვინაიდან ასეთ აპარატებისა და ფირფიტების ყიდვას შეიძლება ის მოჰყვეს, რომ ნაყიდი საქონელი დროებით დაგატუს ღოთ, სანამ საქმე გამოირკვეოდეს.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ **ნამდვილ გრამოფონებად ნამდვილ ფირფიტებად და ნამდვილ მოწყობილობებად** მათთვის ითვლება მხოლოდ ის საქონელი, რომელიც ერთნაირ ფასებში იყიდება მთელ რუსეთში და რომელიც აღნიშნულ არს, ყველასთვის საკმაოდ ცნობილ, **ჩვენი ფაბრიკის ნიშნით.** ეს ნიშანი გამოცხადებულია მთელი ქვეყნის ყველა სახელმწიფოში და დამტკიცებულია მანუფაქტურისა და ვაჭრობის დეპარტამენტის მიერ. დანარჩენი ნიშნები მიბაძვაა. მათს პასუხის მგებლობას ჩვენ ვერ ვიკისრებთ. თუ ჩვენი ნაწარმოები ჩვეულებრივზე დაბალსა და დაკლებულ ფასებში იყიდება, ეს საქონელი, უეჭველია, შეძენილია უპატიოსნო და არალეგალურის საშუალებით, რაიც ყოველ შემთხვევაში დაუყონებლივ დევნილ იქნება სასამართლოს საშუალებით.

დავმთებით პატივისცემით

**სააქციონერო საზოგადოება**

# გრამმოფონი

ტფილისის განყოფილება. (6—2)